

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N003/20¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

მარიამ ბიბილური (სტუდენტი)

შეკითხვა

ადვოკატს ხელშეკრულება აკავშირებს ორ სამეწარმეო სუბიექტთან, რომელთაც უწევს ყოველთვიურ იურიდიულ დახმარებას. მათგან B სამეწარმეო სუბიექტი სამოქალაქო საქმეში არის მოპასუხე მხარე, ხოლო A- იდენტურ საქმეში შესაძლოა ჩაერთოს მესამე პირად, ვინაიდან მოსარჩელესა და B-ს შორის გაფორმებული შეთანხმების შეუსრულებლობას მოსარჩელე უკავშირებს A-ს ბრალულ ქმედებას. ჩაითვლება თუ არა ინტერესთა კონფლიქტის დარღვევად ადვოკატის სამოქალაქო საქმეში ჩართვა A კომპანიის წარმომადგენლად იმ შემთხვევებში, თუ:

1. B კომპანია არანაირი სტატუსით არ იღებს საქმეში მონაწილეობას;
2. B კომპანიის წარმომადგენლები პროცესზე გამოძახებულები იქნებიან მოწმის სახით;
3. B კომპანია ჩაერთვება საქმეში მესამე პირად, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ პირველ ყოვლისა ინტერესთა კონფლიქტის ჭრილში მიმოიხილა აპეკ-ის 6(2), 6(5) და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8(1) მუხლები. აპეკ-ის 6.2 მუხლის მიხედვით, ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგო ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე. მოცემულ შემთხვევაში, ორივე კლიენტის ინტერესების ურთიერთდაკავშირებულობის და შემდგომ ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის საფრთხის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის გარემოება, რომ სასამართლო დავაში, როგორც მხარე კლიენტი B არ არის ჩართული, არამედ ის ფაქტი, რომ დავის შინაარსიდან გამომდინარე კლიენტთა ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდება, ვინაიდან მოსარჩელე B-ს მიმართ შეუსრულებელ ვალდებულებას უკავშირებს A-ს ქმედებას, რაც A-სა და B-ს შორის ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეს წარმოქმნის. შედეგად, მიუხედავად B კომპანიის სასამართლო დავაში ჩაურთველობისა, იკვეთებოდა ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე. ხოლო ერთდროულად ორივე კლიენტის აღნიშნულ საქმეში ჩართვისას, ცალსახად გამოიკვეთებოდა ინტერესთა კონფლიქტი. ეთიკის კომისიამ დამატებით განმარტა, რომ ადვოკატს, ინტერესთა კონფლიქტის მიუხედავად აქვს შესაძლებლობა წარმოადგინოს რამდენიმე კლიენტი მათი ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში. დადგენილი პრაქტიკისა და ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოდელური წესების საფუძველზე ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კონფლიქტში მყოფი პირების ერთი და იმავე ადვოკატის მიერ წარმომადგენლობისათვის აუცილებელია სახეზე იყოს კონფლიქტში მყოფი პირების საერთო ინტერესი და მათი ინფორმირებული თანხმობა. ამასთან, ამ წარმომადგენლობით, საფრთხე არ უნდა ექმნებოდეს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ადვოკატის მიმართ ნდობასა და ადვოკატის დამოუკიდებლობას იმოქმედოს კლიენტების ინტერესების შესაბამისად.

დასკვნა

პირველი კითხვის შემთხვევაში სახეზეა ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე, რადგანაც მოსარჩელესა და კლიენტს A-ს დავა დაკავშირებულია ადვოკატის მეორე კლიენტის B-ს ინტერესთან. მეორე და მესამე შემთხვევები უშუალოდ სასამართლო პროცესში B-ს ჩართულობას ეხება, რაც უკვე არის არა საფრთხე, არამედ აშკარა ინტერესთა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტის საფრთხისა და თავად კონფლიქტის არსებობა ადვოკატს ართმევს შესაძლებლობას დაპირისპირებული ინტერესების მქონე პირების ინფორმირებული თანხმობის გარეშე წარმოადგინოს მათი საერთო ინტერესები. ამასთან, ამ წარმომადგენლობით, საფრთხე არ უნდა ექმნებოდეს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ადვოკატის მიმართ ნდობასა და ადვოკატის დამოუკიდებლობას იმოქმედოს კლიენტების ინტერესების შესაბამისად.

¹ <https://gba.ge/pdf/5f7c317634947.pdf/werilobiti%20rekomendacia%20%20003.20%2030.06.20.pdf>